N 1487-09
16.10.2024

1487-09-3-202410161619

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსს
ბატონ ჯუმბერ აბულაძეს

ტყის მართვის სამსახურის უფროსის
ავთანდილ მახარაძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ჯუმბერ,

მოგახსენებთ, რომ ტყის მართვის სამსახურში განხილულია შუახევის სატყეო ადმინისტრაცის 2024 წლის 11 ოქტომბრის №10/242 კორესპონდენცია, რომელიც ეხება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარისა და გურიის რეგიონალური სამმართველოს თანამშრომლების მიერ 2024 წლის 29 აგვისტოს შუახევის მუნიციპალიტეტში აღმოჩენილ, სექვესტირებულ **სოჭის სახეობის 13 ცალ I ხარისხის (სამასალე) მორს, სულ მოცულობით 4.355 კბმ,** რომლის პარამეტრები ასახულია ცხრილში დანართის სახით და გაწერილია ხე-ტყის შესაბამისი წარმოშობის დოკუმენტი №3000106146 ატირთულია შესაბამის ელექტრონულ ბაზაში.

აღნიშნული ხე-ტყე უკანონოდ მოჭრილია ოლადაურის სატყეოს №4 სამცველოს კვარტალ №27-ში, რომელიც განთავსებულია შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. წელათის (გუზლიეთის უბანი) ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ და განიცდის გარემო პირობების ზემოქმედებას. ხე-ტყე საავტომობილო გზიდან დაშორებულია 5-10 მეტრი მანძილით.

გთხოვთ, ადმინისტრაციულმა სამსახურმა განიხილოს და კანონმდებლობით გათვალიწინებული მოთხოვნების სრული დაცვით უზრუნველყოს, ხე-ტყის განკარგვაზე სათანადო რეაგირება.

დანართი: საქმის წარმოების მასალები.

პატივისცემით,

ავთანდილ მახარაძე



სამსახურის უფროსი
ტყის მართვის სამსახური